რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, კნ. მუხრანსკის სახლებ-ში, ბაღის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებისა“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელი წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ანუ მოკრულის ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმანი(?) ასოებით სტრიქონზე მაური.

თუ ხელმოწერის მოითხოვს, რედაქცია განცხადების და შეუმოკლებლად დაბეჭდავს გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

## „დროება“

პირველის აპრილიდამ წლის დამლევამდინ ღირს შვიდი მანეთი. ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილო-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 15 აპრილს. პეტერბურღის ოფიციალური ფრანცუზული გაზეთი ამბობს, ტუნილიათ ხმა, ვითომც რუსის ელჩები უნდა მოგროვდნენ პეტერბურღში. გაზ. „ჰეროლდ“ ამბობს: პეტერბურღში ავრცელებენ დაბეჭდილ აღკრძალულ ფურცლებს, რომელშიაც ებრაელებს ურჩევენ, რომ ისინი ნიგილისტებს შეუერთდნენ.

ოდესიდამ იწერებიან: დენ.-დუბ. გურკომ ხმელეთზე გამოსვლის ნება არ მისცა 150 ბერძენს, რომელნიც აღდგომა დღეს ორის გემით მოვიდნენ ოდესის ნავთ-სადგურში და გამოაცხადეს, რომ დროების გასატარებლად მოველითო; ბერძნის კონსულმა ამაზედ თავის უკმაყოფილება (პროტესტი) განაცხადა.

„გოლოსს“ სწერენ კამენეციდამ, რომ ვოლკოვინცსა და სხვა სამს სოფელში ებრაელებს უწესოებააო.

„ნოვოე ვრემიაში“ სწერენ: ახალი წესდება პოლიციის ზედამხედველობისა, პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ, დამტკიცდა; ახლა მხოლოდ განსაზღვრული უნდა იყოს ამ გვარ დამნაშავეთ ზედამხედველთა უფლება და მოვალეობა.

სამიკიტნოების შესახები ახალი წესდება 15 აპრილს უნდა განიხილოს სახელმწიფო რჩევის საზოგადო კრებამ, რომელზედაც ათი ექსპერტიც დაესწრება.

### პეტერბურღის ბირჟა, 15 აპრილს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94 — | $57^1/_2$ |
| მეორესი — — — — | 90 — | 87 |
| მესამესი — — — — | 91 — | $^1/_2$ |
| მეოთხესი — — — | 90 — | $75^1/_2$ |
| მეხუთესი — — — | 90 — | 62 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 90 — | $50^1/_2$ |
| აღმოსავლეთის მეორე | 90 — | 50 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 — | 62 |
| ოქრო, $^1/_2$ იმპერიალი | 8 — | 8 |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 219 — | 25 |
| მეორე სესხის — — | 212 — | 25 |

| 100 მანეთი ღირს: | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 24 — | 37 | პენსი |
| ჰამბურღი — | 208 — | „ | ცენტი |
| პარიჟი — — | 256 — | $50^1/_2$ | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — | „ | პფენიგი |

## ზოგიერთთა საგულისხმოდ.

საკმაო გამოცდილებამ და მრავალმა მაგალითებმა საყოველთაოდ დაგვანახა და დაგვიმტკიცა ის ჭეშმარიტება, რომ ყოვლად შეუძლებელია მართლ მსაჯულებამ, რაც უნდა მეცნიერულის მოსაზრებით იყოს ის აღჭურვილი, ხალხის ცხოვრებაში თავის მძიმე და რთული მოვალეობა შესაფერად აღასრულოს და თავის საკადრისი წმინდა სამართლიანობის სამირკველი გაისკვნას, თუ სამართლის მწარმოებელს და აღმასრულებელს არ ესმის იმ ერის ენა, ზნე და ჩვეულება, რომლისთვისაც ისინი არიან დანიშნული და რომელშიაც ისინი სამართალს აწარმოებენ.

რა უნდა ქნას მსაჯულმა, რა ნაირად უნდა გაარჩიოს წმიდა სამართალი ისეთს ხალხში, სადაც მისი ხალხს არა ესმის-რა და ხალხისა მას?

უველაზედ უმთავრესი მიზანი ახალი სამსაჯულო წყობილებისა იყო ის, რომ ერს მსწრაფი და მიუდგომელი სამართალი მისცემოდა, და ეს სამართალი რაც კი შეიძლება იეფად დასჯდომოდა მაძიებელს; მისცემოდა ერს საშუალება სამართლის მწარმოებელისათვის პირადათ გაეცნო ყოველივე თვისი გარემოება და გაეგო, თუ სული ვერა რამოდენიმე ნაწილი მაინც მსაჯულთა მოქმედებისა და საქმეთა წარმოებისა; შეკვეცო და ფრთა საიდუმლოდ საქმის წარმოებისა და მსჯელობას, სადაც ხშირად კერძო, პიროვნულ ანგარიშებს და სხვა ამ გვარებს თავისი გაჰქონდა. სახალხოდ წარმოება საქმისა გამოწვეულია იმ მიზნით, რომ თვით ხალხი გაეცნოს სამართლის წარმოებას, და გაიგოს მისი მსვლელობა, და მოსამართლესაც თვით მომჩივან-მოპასუხისაგან წარმოთქმულის „ცოცხალი“, უნაკლულო სიტყვებისა და აზრებიდამ გამოეკრიბოს მისთვის საჭირო მასალები სამართლის გასარჩენად.

როდესაც მსაჯული სახალხოდ არჩევს საქმეებსა და აჩენს სამართალს; როდესაც ის ხედავს, რომ ყოველი მოქმედება მისი სიტყვით თუ საქმით ესმის ხალხს; როდესაც ის ხედავს, რომ თვით ერი სჯის, სწონის დააფასებს მის მოქმედებას, რასაკვირველია, მაშინ უფრო ფხიზლად და ენერგიულად სცდილობს თავის მძიმე მოვალეობის ღირსეულად აღსრულებას. აგრეთვე როდესაც მსაჯულს უშუამავლოდ, პირ-და-პირ მის თითოეული აზრი, წარმოთქმული მომჩივან-მოპასუხისა, რასაკვირველია, მაშინ უფრო სწორს მსჯელობას შეადგენს და მისი მოვალეობა ერთი-ორად უფრო მსუბუქია და შრომა ნაყოფიერი.

ჩვენში-კი ამ ჩინებულის მოსაზრებით დაფუძნებულმა მართლ-მსაჯულების წყობილებამ ის ნაყოფი ვერ მოიტანა, რომელიც მოსალოდნელი იყო. და ვერ მოიტანა იმიტომ, რომ უხვდება წინ დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი: განდევნა სამსაჯულო უწყებებიდამ ერის ენისა და ჩვეულებისა.

მომრიგებელი მსაჯულის უმთავრესი არსებითი მოვალეობა თვით მის სახელში არის გამოხატული: იმან უნდა იშუამდგომლოს, მოარიგოს მის წინ წამდგარი ორი მოწინააღმდეგე მხარე ერთმანეთ შორის. ჩვენში ამ თავის უმთავრესი მოვალეობის აღსრულება არას ოდეს არ შეუძლია მომრიგებელს მსაჯულს, არ შეუძლიან იმიტომ რომ არა ესმისრა იმათ, რომელ შორისაც ის შუამდგომლობს და ვერას აგონებს [illegible] მათ. ეს ორი ეწყება ერთმანეთ შორის ჩინურის კედლით გაყოფილნი არიან, ჩავარდნილნი ხშირად ისეთის თარჯიმნების ხელში, რომელთაც არც ერთი ენა არ ესმისთ რიგიანათ, რომელთაც უბრალო სიტყვის, სულ ადვილად გასაგების ლექსის გადათარგმნა არ შეუძლიათ რიგიანათ მომჩივან-მოპასუხისაგან წარმოთქმულის მსაჯულისა წინაშე; დამსაჯულის დარიგებისა და კითხვების გადაცემაზედ ხომ სულ არა ღირს ლაპარაკი.

აი ამ მიზეზით ხშირად პატიოსანი და მეცნიერი მსაჯულიც ვერ ასრუ-

---

## «დროების» ფელეტონი, 17 აპრილი.

### „იმედის“ ავტორს

ვინ არის ნეტა სულ-მნთებარე, ლექსის მწერალი?
მართლის მოწამე მამულის-მე, ტკბილად მღერალი?
წმიდა იმედი, ზეცით მგზავრი აქ ჩამომხტარა,
და მისი ჩვენში ასე ახლოს მოსვლა გვახარა!

—

ვისიც ლოდინი გაგვამხნობდა, ჭირს გვავიწყებდა,
როდესაც ჩვენში მდინარებად სისხლი მისჩქეფდა;
რომლისა ძალი ყოველს სულსა ჯაჭვად ერტყია,
მე რა დავსძინო, იმას ქება სად რა აკლია?!

—

ბედის ღამეში გზა გვიკვლია, გამოგვიყვანა,
და თვით ტანჯვაში აღგვითქვა მან ნიშად ქვეყანა,
ვინც ნახა ჩვენის სასოების ნაშთი მძევალი,
ჩვენი საზრდელი, სიმამაცე ჩვენთან მავალი,

—

ვისაც ეს სამღვთო მოციქული გამოეცხადა,
მამულის მგონებს, გულ-დამწვარსა ლხინი უქადა,
რად გაუკვირო აგალობდეს იმისი ენა,
მსთვად მოუვიდეს სულ-მნთებისა მას აღმაფრენა?

—

და ჩვენ კი ამ დროს სასიკეთო ნიშნებიანსა
ჭეშვენის, ვისმენდეთ იმ ლექსსა უცხოხმიანსა,
ჩანგითა შევხვდეთ იმედისა მახარობელსა
გალობა შევსძლვნათ სასოების სიმთ ამწყობელსა.

25 მარტს, 1869. ნ. დ.

### წარსული დრო

(ნათარგმნი*)

ამ დღიდამ განვლო რვა წელიწადმა. მე გადავსახლდი ინგლისში, საიდამაც ხშირად დავდიოდი ხოლმე გერმანიაში. პარიჟზე გავლას კი ვერიდებოდი. მაგრამ მოვიდა მსოფლიო გამოფენის დრო და ეს შეიქმნა მიზეზად ჩემი პარიჟში მისვლისა. მართალია, გამოფენის სანახავად წაველი, მაგრამ ჩემი საყვარლის სურათი მიდგა თვალ-წინ. ვფიქრობდი: — იქნება პოლინაც მელის-მეთქი.

მივედი პარიჟში და ვნახე უფრო გამშვენიერებული, მხიარული და სიცოცხლე მომატებული, საუბედუროთ ამასთანავე ხალხშიც უფრო მომეტებულად აღგზნებული მტრობა ნემეცებისადმი. ჩემთვის, შემდეგ პოლინას დედის მიღებისა, სასიამოვნო არ იყო წასრული დროს მოგონება და განახლება, მაგრამ მაინც გულმა ვეღარ მომითმინა და დავიწყე ძებნა მტიენლევერისა! მე გავიგე, რომ ის წასულიყო პარიჟიდამ და ელოდნენ ხუთს დღეს უკან.

როგორც იყო გავატარე ხუთი დღე. მეექვსე დღეს, დილით ცხრა საათზედ, მივედი მტიენის ბინაზედ. ვიკითხე. მიმიღეს და კარები რო გაალეს, წინ წამომიდგა მოღრუბლული და დიდწვეროსანი კაცი, რომელმაც შემომხედა მრისხანის სახით.

— მიცნობთ, თუ არა? ვკითხე მე.

— დიახ, გიცნობთ; მაგრამ დიდათ

*) იხ. „დროება“ № 77.

ლებს ჩვენში თავის მოვალეობას და სცილდება თავის სწორ გზას, ვერ აძლევს ერს ჯეროვან სამართალს, რომლის გამოთაც ერს მაზედ რწმენა, ნდობა ეკარგება.

საკმაო ხანმა გაიარა მას შემდეგ რაც ახლის წესით სამართლის წარმოება შემოიღეს ჩვენში; ყოველ დღე სასამართლოები გატენილი ხალხით, მაგრამ ჩვენი ხალხი ისევ იმავე მდგომარეობაშია, როგორც დასაწყისში; ისევ ისე გაუცნობელი და დაშორებული ხსენებულ რეფორმებთან, იმიტომ რომ არ არის სახალხო ენით წარმოება საქმისა, არ არის არც ერთი სახელმძღვანელო, ადვილად გასაგები წესდებულება და კანონი ერის ენაზედ, რომ ხალხს შეეძლოს გაიგოს რამ და თვით აწარმოვოს თავისი საქმე უმდაბლეს სასამართლოებში მაინცა.

კანონისა, და საქმეთა წარმოების გაუცნობელი ხალხი ვარდება გაიძვერა ვექილების ხელში და ეს როგორ უჯდება ხალხს, ყველამ კარგად იცის.

ეს ნაკლი რუსეთის განაპირა პროვინციებში შემოღებულ სამსაჯულო წყობილებისა დაინახა თვით უმაღლესმა მთავრობამ და მიაქცია ყურადღება კიდეც: ჩვენ ვიცით, რომ სამართლის სამინისტრომ მიიღო მხედველობაში ამ საგანზედ შუამდგომლობა ბალტიის ზღვის ნაპირა მდებარე გუბერნიების წარმომადგენელთა [illegible] ენაზედ სამართლის წარმოებისა, და გარდასწყვიტა გადათარგმნა სახალხო ენაზედ უფრო საჭირო კანონებისა.

როდესაც ამის აუცილებელი საჭიროება ცხადათ დანახული და აღიარებულია, როდესაც ამის წინააღმდეგის თქმა სამართლიანობის წინააღმდეგობაა, ამისთანა დროს გაზეთის „შრომის" მეთერთმეტე ნომერში ვკითხულობთ ბატონი ორპირელის წერილს, რომელიც სულ წინააღმდეგ აზრს გვეუბნება იმის შესახებ, რაც აზრი ამ საგანზედ წარმოთქმულია ჩვენს მწერლობაში. ავტორის აზრით, ჩვენთვის დიდ საჭირო და სასარგებლო საგანს არ შეადგენს, კიდეც რომ შემოღებულ იქნეს ჩვენს სამსაჯულოებში სამშობლო ენაზედ წარმოება საქმისა, მაგრამ ამასთანავე შეუძლებელად ხდის ამ მოვლენას, რადგანაც პატივცემული ავტორი მტკიცეთ დაფუძნებულია იმ რწმენაზედ, რომ, თუ ეს მოხდა, იმ შემთხვევაში ძირიანათ უნდა შეიცვალოს ეხლანდელი სამსაჯულო წყობილება. ამ საგანზედ ჩვენ გვინდოდა რამოდენიმე სიტყვა გვეთქვა ამ წერილშივე, მაგრამ რადგან ეს იმას ემზგავსებოდა, რომ კაცს სახლის საძირკველი არ ჰქონდა გასკვნილი და ყავრის და მხურავის შოვნაზე ჰქონდა სჯა და ბაასი, ამისათვის თავს ვანებებთ.

რაც ვსთქვით ეხლა ისიც იმ აზრით, რომ ჩვენი მხარე მომავალ წელში საჭირო ცვლილებებს მოელის და სანატრელია ამ მხარესაც მიექცეოდეს ყურადღება, რომელიც, დარწმუნებული ვართ, არც ერთ სასიკეთო ცვლილებაზედ ნაკლებ სარგებლობას არ მოუტანს ჩვენს ხალხსა.

ქაიხოსრო გელოვანი.

დღევანდელ „დროების" № 74-ში დაბეჭდილია ანბავი, რომ მებალე იმერლებს ნავი გადაუბრუნდათ და სამი მათგანი კიდეც დაიხრჩო.

ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ისიც ეცნობებიათ, თუ როგორ და რა მიზეზით მოხდა ეს მარცხი?

[illegible] გონა, რომელიც ამ ბრწყინვალე კვირეებში ჩემის თვალითა ვნახე: ვერიდამ მუშტაიდში გადადიოდა ნავით ხალხი. ნავი სრულიად გაჭედილი იყო სხვა-და-სხვა წოდების ხალხით. როდესაც შუა წყლამდი მივიდნენ მენავეები, შეაჩერეს ნავი და მოსთხოვეს ნავში მსხდომთ თითო აბაზი. ამაზედ ასტყდა ჩხუბი მენავეებსა და ზოგიერთებს შუა, მოუნდომეს ერთმანეთს წყალში გადაგდება და თუ ერთს იქ მყოფთაგანს ხანჯალი არ ამოეღო და მით არ შეეჩერებინა მენავეები, უეჭველია, ნავი გადაბრუნდებოდა, იმოდენა უმანკო სული დაიღუპებოდა და თქვენს გაზეთშიაც ისეთივე ცნობა იქნებოდა მოყვანილი, როგორიც დღეს არის.

როგორც იქვე შევატყვეთ, მოიჯარადრე და მენავე სომხები თურმე ყოველთვის ისე ექცევიან, ვისაც კი დაიპირიყვებენ. ჩვენს შენიშვნაზედ მეიჯარადრემ ურცხვათ გვიპასუხა, რომ ქალაქს იჯარას ვაძლევ და ჩემი ნებაა მანეთიც რომ ავიღო! „ტაქცია მხოლოდ ფორმისათვის გვიწერიაო რაღა!... ეს გამოდიოდა მასი სიტყვებიდან.—

ამ ფაქტს თუმცა ბევრის დამატება აღარ ეჭირვება, მაგრამ ვეღარ მოგვითმენია, რომ არ ვსთქვათ: „-დიდს გასაჭირში არის დაბალი ხალხი ჩავარდნილი და ქალაქის გამგეობა-კი თავის კერძო ანგარიშებზედ არის გადაყოლებული. ქალაქის სარგებლობას იმას ეძახიან, რაც ზარალის მეტს არას აძლევს არც მუშა ხალხსა და არც ქალაქში მოსამსახურეებს... ამას ჩვენ ფაქტებით დავამტკიცებდით, რომ ნება გვქონდეს და მაშინათვე მითი არ დაგვაჩუმონ, რომ ნაციას ეხვაო და სხვანი.

სკკი.

## დღიური

გამოანგარიშებულია, რომ რუსის გლეხი წელიწადში სულ ორას დღეზე მომეტებულს არ მუშაობს, დანარჩენ ას-სამოც დღეზე მეტს კი ცუდაობს. რუსის გლეხის სიღარიბესაც, სხვათა შორის უმთავრესად ამ ერთობ ბევრ უქმ დღეებს მიაწერენ. ამის გამო, უმაღლესის მთავრობის წინადადებით, უწმ. სინოდს მიენდო განიხილოს— თუ რომელი ამ უქმ დღეებში ნამდვილი უქმი და რომლის უქმობა შეიძლება მოისპოს.

ეს საგანი ცოტა არ იყოს ჩვენც შეგვეხება, რადგან ჩვენმა მუშა ხალხმა, რომელიც, მართალია, ბევრს მუშაობს, მაგრამ ამასთანავე დღესასწაულებიც ამის შესაფერზე მომეტებული იცის.

* * *

პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია, მოსკოვისა და პეტერბურ-
გუბერნიის წინამძღოლებმა ხელ-
ფე იმპერატორს გამოუცხადეს ...
ვილიო, რომ გვირგვინის კურთხ-
დროს ისინი ჰკისრულებენ იმის
რადი მშვიდობიანობის დაცვასაო.

* * *

კავკასიის სამეურნეო საზოგადო-
ჟურნალში, სხვათა შორის, დაბეჭ-
ლია, რომ ამ საზოგადოებას გარ-
უწყვეტია ყველა გუბერნატორებ-
ნობონ და წინადადება მისცენ, ...
სამეურნეო საზოგადოების განყო-
ლება კავკასიის ყველა საგუბერნ-
ქალაქებში გაიმართოსო.

* * *

„იურიდიულ მიმოხილვის" უკა-
ნელს ნომერში დაბეჭდილია, ...
მიცვალებულ ნატალია შიოევის
ლის ანდერძის თაობაზედ მო...
პარაკებელად და სარჩევად მალ...
რჩევისაგან შედგენილ ხმოსანთა
მისიას, მოუწვევია შემდეგი პირ-
ვ. და ნ. სმიტტენები, ი. რამ...
კ. რეიტერი და ა. სტეფანოვი.

* * *

დღეს პარასკევს ორი ფოჩტა
თად მოგვივიდა რუსეთიდამ და სამზღ-
გარეთიდამ.

* * *

იმ შენიშვნის თაობაზედ, რო-
ლიც „დროების" № 69-ში იყო
ბეჭდილი დუშეთის სიძვირის შეს...
„ვაჭრის გ. ალ. უაზაროვისა და ...
პანიისაგან" მივიღეთ ჩვენ შენიშ...
რომელშიაც გვწერენ, რომ ეს ხ...
ვაჭრების ცილის-წამება არისო ...
მად დუშეთში ისეთი იაფობაა, ...
მუდამ თუ ასე იქმნა, ხალხი ...
იჩივლებსო. ხორცი, მაგალით...
„დობრო კაჩესტვენისა" გირვანქა
კაპ. ისყიდება და არა 12-თაო.
საუკეთესო ხარებიც მოუდით ...
ყასბებს ვლადიკავკავიდამაო.

* * *

ჩვენ მივიღეთ ამ წლის მესამე (...
ტის) წიგნი ჟურნალის „იმედისა", ...
მელიც შემდეგ შინაარსს შეიცავ...
„ჩვენი გლეხ-კაცობა და ახალი ...
მართალი" ნიკო ხიზანოვისა,—„...

---

უფრო სასიამოვნო იქნებოდა ჩემთვის, რომ ჩემს სიცოცხლეში არ გამეცანით... რა გნებავთ?

— გულითადი სურვილი ჩემი ეს გახლავთ, რომ მაცნობოთ ამბავი თქვენის დის პოლინასი.

— ჰო, გნებავთ ნახოთ?

— დიახ, დიახ, თუ შეიძლება.

— წამობრძანდით.

გამოვედით ქუჩაში, სადაც დააყენა ეკიპაჟი, კუჩერს ყურში რაღაც უჩურჩულა და მთხოვა, რომ ჩავმჯდარიყავი. ჩავსხედით ორივე ერთად ნახევარ საათამდის გაჩუმებულები მივდიოდით, ისე რომ ერთი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანერთისათვის. ბოლოს მივედით და დავდექით ერთს დიდს ალაყაფის კარებთან, რომელზედაც იყო დაწერილი: სასაფლაო... წავიკითხე და მაშინვე დამაწყებინა კანკალი.

ჩვენ შევსდგით ფეხი: მიცვალებულების ქვეყანაში. დიდხანს დავდიოდით საფლავებზედ, სხვა-და-სხვა ჯვრების და ძეგლთა შორის, ბოლოს დავდექით ერთს მშვენიერ მარმარილოს სვეტებიან საფლავთან, რომელზედაც იყო ერთს მხარეზე დაწერილი ოქროს ვარაყის ასოებით შემდეგი სიტყვები:

პოლინა ლევიური.

დაიბადა 17 მაისს 1863 წელსა.

გარდაიცვალა 25 დეკემბერს 1870 წელსა

და მეორე მხარეს:

გარდაიცვალა ვითართა მამულის მოყვარე პარიჟის ციხის თხრილში ზარბაზნის ტყვიითა.

ეტიენი მიეყუდა მარმარილოს სვეტს და დაიწყო ცხარის ცრემლით ტირილი. მე დავიჩოქე, დავემხე საფლავზედ და დიდხანს ველარ მოველ გონებას.

— მომყეცი, უთხარ მე იმას ბოლოს, როდეს მოველ გონებას, ხელი პოლინას საფლავზედ, რადგანაც იგი იყო ჩვენ ორთათვის ძვირფასი...

— არა საჭირო არ არის! მიპასუხა დამშვიდებულის სახით. უკეთესი იქნებოდა ათის წლის სიცოცხლე მომკლებიყო და თქვენ ჩემი და არ გაგეცნოთ. ეხლა იგი, უეჭველია, აქ არ იქნებოდა..... სთქვა მრისხანებით.

— ეგ მე არ მესმის, გთხოვ განმიმარტოთ და მიბძანოთ დაწვრილებით.

— უნდა, უნდა აღვასრულო უკანასკნელი ნება ჩემის საყვარლის დისა. თქვენის წასვლის შემდეგ პოლინა საშინლად დაღონებული იყო; მუდამ თავის ოთახში მარტოდ-მარტო იჯდა. მეშინოდა, რომ თავი არ მოეკლა. როდესაც ნემეცების ჯარი შემოერ-
ტყა პარიჟს და ყველანი ემუშაობ...
თხრილში, მაშინ პოლინა მოვ...
დაბინავდა ჩვენს ახლოს და უ...
დებდა მუშებს საჭმელს. მე ხში...
ვტუქსავდი, ვუჯავრდებოდი, რომ ...
არ უფთხილდებოდა და არ ეშინ...
მტრის თოფისა. ატყდა ერთხელ ...
შინელი ზარბაზნის სროლა, პოლ...
თავის დროს აღარ მოვიდა და ...
ვსწუხდი და ვიტანჯებოდი, სანამ ...
შაობიდამ გამოვიცვლებოდი და ...
დესაც გამომცვალეს, იმავ წამს გ...
ქეცი საძებნელად. ვიპოვე ს...
ლი, მაგრამ ვაი იმისთანა ...
ნას..... ზარბაზნის ტყვია მოხვ...
როდა გულში.... მიწაზედ ეგდ...
ავიყვანე რის ყოფით და წვალებ...
მივიყვანე იქვე ერთს სახლში და ...
დოდა მომეწვია ექიმი. „საჭირო ...
არის", ძლივ და რის წვალებით ამ...
ლუღლუღა საცოდავმა. „მომიც...

...ათი მოქეიფე" (ლექსი) პარდაკანისა,— „შემოდგომა" (ლექსი) ი. გლეხისა,— „ცეცო" (მოთხრობა) სოფ. მგალობლიშვილისა,—„წკიპარტი" (ლექსი) ...მისა,—„დამტვრეული ოცნებანი" ს. ჭრელაშვილისა,—„პასუხი" „ივერის" ზუგდიდელ კორრესპონდენტს ალ. წერეთლისა,—„შინაური მიმოხილვა" ტატალასი,—„იმედის" ფოჩ...ა რელოისა.

* * *

ქუთაისიდამ გვატყობინებენ, ძლიერ გახშირდაო ჩვენს ქალაქში ამ უკანასკნელ დროს ქურდობა და ავაზაკობაო; თითქმის ღამე არ გაივლის ისე, რომ ვინმე არ გაქურდონ ან არ გაცარცვონო.

ამ ქურდობა-ავაზაკობას გარდა, მაწანწალა ძაღლებისაგანაც გაჭირებული გვაქვს საქმეო; უჯოხოთ ბულვარშიაც ვერ გაგვივლია, უნდა გეშინოდეს, რომ მურა ძაღლი მოგვარდება და კუნთებს ამოგაგლეჯსო. ამას წინათ. ქალაქის გამგეობის განკარგულებით, ამ გვარ უპატრონო ძაღლებს ხოცავდნენო ქუჩებში, ახლა კი თავისუფლად და ხელ-უხლებლად დანავარდებენო.

* * *

ჩვენ მივიღეთ ბ. დ. პ. ფურცელაძისაგან რუსულს ენაზედ გამოცემული **„ქართული საგლეხო გრამოტები, სასამართლოსა და ნასყიდობის აქტები და წერილები და გრამოტები საქართველოს და სპარსეთის მეფეებისა"**—მასალა საქართველოს ძველი ისტორიისათვის.

ეს გრამოტები და დოკუმენტები შეეხება მეთექვსმეტე, მეშვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებს და მართლა, ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს ჩვენი მაშინდელ შინაგან ცხოვრებისა, ბატონ-ყმობის დამოკიდებულობისა და სხვა მხარეების გასაცნობად. ამიტომაც ამ წიგნზედ ჩვენ შემდეგში უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

* * *

გუშინდელ წარმოდგენას ცირკისას, რომლის შემოსავალიც სიღნაღელ გადამწვართა სასარგებლოდ იყო დანიშნული, დიდ-ძალი ხალხი დაესწრო ასე, რომ წარმოდგენის დაწყების წინათვე სულ ყველა ბილეთები გასალდა. მომეტებული ნაწილი ქართველობა იყო, როგორც ესრედ-წოდებულ მაღალ საზოგადოებისა, აგრეთვე მდაბალი ხალხი. უეჭველია, ბევრი აქ დამსწრეთაგანი წარმოდგენის კეთილ მიზანმა მოიყვანა გუშინ ცირკში, მაგრამ ბევრიც კი იმ გარემოებამ, რომ გამოცხადებული იყო ჭიდაობა იქნებაო. მართლაც იყო ჭიდაობა, მაგრამ ისეთი არა, როგორც მოველოდით: არა არა-გამოჩენილი და არა-დახელოვნებული მოჭიდავენი შემოიყვანეს წრეში ზურნით, ერთ-ხანს იბერძგალეს, ხან ერთი მოჰყვა ქვევით, ხან მეორე და ბოლოს ხალხი ჩაერია და გააშველეს. ორი მხარე გამარჯვებას იჩემებდა, ჩვენ რომ გვკითხო-კი ორივე დამარცხდნენ!.. რო გენახათ—რა ჩოჩქოლი, ყვირილი და ხმაურობა შეიქნა ხალხში, როდესაც ეს მოჭიდავეები გამოიყვანეს,—ვარეშე კაციც რო ჰყოფილიყავით, იტყოდით, ეს ჭიდაობა ნამდვილი სახალხო დროს-გატარება უნდა იყოს ამ ხალხისაო. რამდენიმე სხვა უფრო კარგი მოჭიდავეები იყვნენ ამ საღამოს ცირკში, მაგალ. ბაჩ—ოვი, ორჯ—ძე, „გლდანელი ბიჭი" და სხვ.; ბევრი ეხვეწეს გამოსულიყვნენ, მაგრამ არა ჰქნეს.

* * *

ამბობენ, ხვალ, კვირას, ნასადილევს, დიდუბეში ბურთის თამაში და ჭიდაობა იქნებაო.

## ორიოდე სიტყვა პროფესიონალურ სწავლა-განათლებაზე.

არც ჩვენში და არც რუსეთში ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ პროფესიონალურ განათლების საჭიროებას, არა გვსურს გავიცნოთ უცხო ქვეყნებში ამ საგნის მსვლელობა, არ ვცდილობთ რაიმე ნაყოფი გამოვიტანოთ დასავლეთ ევროპის თითქმის ასი წლის გამოცდილებით. ამ გამოცდილებას შეეძლო ჩვენი გამოხსნა და სარგებლობის მოტანა სწავლა-განათლების საქმეში.

ჩვენი ახლანდელი ეკონომიური მდგომარეობა და საზოგადოებრივი ცხოვრება გვიჩვენებს, რომ **„პროფესიონალური სკოლები"** ჩვენთვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს...

ამ ასი წლის განმავლობაში ევროპამ პროფესინალურ სწავლა-განათლების საქმისთვის ბევრი მილიონები დახარჯა. იქ ნათლად დაინახეს, რომ „პროფესიონალურ სკოლას" არ შეუძლია რაიმე კავშირი იქონიოს საზოგადო განმანათლებელ (**общеобразовательный**) სკოლასთან. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ არავითარ ხელობის, არავითარ „პროფესიის" სკოლაში ჯეროვანად შესწავლა არ შეიძლება.

უეჭველია, რომ ჩვენმა სკოლამ თავის შეგირდებს უნდა ასწავლოს რაიმე ხელობა ანუ „პროფესია". ამ აზრით პირველადვე აღჭურვილი იყო შვეიცარიის დიდი პედაგოგი პესტალოცცი. თუმც პესტალოცცის ცდამ ხელობის შესწავლაზე დასაწყისს (სახალხო) სკოლებში არავითარი ნაყოფი არ მოიტანა, მისი მოლოდინი არ გაამართლა და დაარწმუნა იმაში, რომ პირველ-დასაწყისმა სკოლამ მხოლოდ ელემენტარული სწავლა-განათლება უნდა მისცეს თავის შეგირდებს.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს „ბრიტანიის საზოგადოებამ" თავის სკოლებში სხვა-და-სხვა ხელობის სწავლება შემოიღო. ამ საგანზედ იმას დიდი ხარჯი მოუვიდა: პარლამენტი მზათ იყო ხელობის კარგათ წასაყვანათ სკოლებში ხაზინიდამ ფულით შემწეობა დაენიშნა. სამწუხაროდ, სკოლებს არავითარი სარგებლობა არ მოუტანია: აღმოჩნდა, რომ ბავშები სკოლებში არასფერს არ სწავლობდენ და ტყუილა-უბრალოთ მასალას აფუჭებდენ; ასს შეგირდში მარტო სამი ასწრობდა ხელობის შესწავლას აღმოჩნდა აგრეთვე რომ ხელობის შესწავლა ძლიერ უშლის სხვა საგნების ჯეროვანად შესწავლას, ასე რომ როდესაც ამისთანა სკოლებიდამ კურს შესრულებული შეგირდები გამოვიდნენ, თითქმის სრულებით წერა-კითხვაც არ იცოდნენ. ბოლოს [illegible] მოც-და ათი სკოლა სრულებით [illegible]ცარიელდა, რადგან მშობლები თავიანთ შვილებს არ გზავნიდნენ.

ამისთვის „ბრიტანიის საზოგადოებამ" სკოლებში ხელობის სწავლება მოსპო და ის ჰაზრი დაადგინა, რომ სახალხო სკოლებში წესიერი და სასარგებლო ხელობის სწავლება შეუძლებელიაო. ამ სკოლების მაგიერ აგრეთ-წოდებული—„*mechanies institutions*"—სკოლები გახსნეს.

„სახელოსნო სკოლები", რომლებსაც ახლა რუსეთში და ჩვენში ხსნიან, ჩემის აზრით, ბევრ სარგებლობას არ მოიტანს, რადგან ინგლისშიაც ამ გვარივე სკოლებს არა-რა გაურიგებიათ და არა-რა გაუწყვია... და თუ ინგლისში,—საცა პრაქტიკას პირველი ადგილი უჭირავს, საცა საქმე და არა სიტყვა მოქმედობს,—იმისთანა სკოლებმა ვერ იხეირეს, რუსეთში და ჩვენში უფრო ვერასფერს კეთილს ვერ მოგვიტანენ.

გერმანიის სკოლებში „ხელობის სწავლას" ჯერ კიდევ ფესვი არ გაუდგამს, თუმც ერთის მხრით საზოგადოების და მეორე მხრით დანიის პედაგოგს—ჭონ—ძლაუსონ-ძაას მხურვალე გულით სურდათ თავიანთი მიზნის,—ხელოვნებითი განათლების გავრცელების, — სისრულეში მოყვანა: ამ პატივცემულ პედაგოგმა რამდენჯერმე წარმოუთქვა საეროდ სიტყვა, რომელშიაც ის აზრი გაჰყავდა და ამტკიცებდა, რომ ხელობის შემოღება როგორც ოჯახობის, აგრეთვე სახალხო სკოლების ცხოვრებაში-საჭირო არისო. ძლაუსონ-ძაასის სიტყვებში მსმენელი მუდამ ღარიბ ხალხის და საზოგადოდ მთელის კაცობრიობის სიყვარულს დაინახავდა ხოლმე; მაგრამ ამ პედაგოგის სისტემას გერმანიაში ერთი სკოლაც არ გაუჩენია.

ამის შემდეგ გერმანიაში ეგრეთწოდებული „უტილიტარული, რეალური სკოლები" ვრცელდება. მაგრამ ამ სკოლებსაც ჩქარა ბოლო მოეღო, რადგანაც სკოლებში კურს

---

შემინდე... მოგატყუეთ, მე არა ვარ მამულის-მოყვარე. ჩემი გული ეკუთნის მასვე; იმის სიყვარული ჩემს გულში არ გამქრალა სიკვდილამდისინ... შენ გთხოვ ეს უთხრა მას, როდესაც მოვა აქ და, უეჭველია, მოვა... ღმერთმა გაკურთხოსთ ყველანი, დედა ჩემი და საფრანგეთი!" ეს იყო უკანასკნელი მისი სიტყვები... მე არ მეგონა, რომ მოხვიდოდი და რადგანაც მოხველი, აღვასრულე უკანასკნელი ნება ჩემის დისა. მხოლოდ ღმერთმა უწყის—რა მძიმე მოვალეობას ვასრულებ, რადგანაც ჩვენ უამისოთაც გვძულს ნემეცები...

ეს რომ სთქვა, დამიკრა თავი დიდის ზრდილობით და მომშორდა...

მე დავუძახე და ვკითხე:

— ანტუანი სადღაა?

— მოჰკლეს სან-ძლუში! მიპასუხა შორიდამ.

ეს რომ გავიგე, ელდა მეცა.

ორნივე დახოცილან ნემეცების ზარბაზნის ტყვიითა. იქ ერთად შეყრილან?!

მე თითქო ყურში ჩამძახოდა რაღაცა უხილავი სული:—წადი, წადი პარიჟიდამაო. მართლად, თითქო პარიჟის ჰაერი გულზედ მაწვა და ჩემ თვალთ ყველგან ელანდებოდნენ საფლავები, საფლავის ქვები და ჯვრები. პარიჟის ბულვარზედ ყველა გამვლელ-გამომვლელნი მკვდრებად მეჩვენებოდნენ და როდესაც ერთად დავინახავდი კაცსა და ქალსა, მაშინვე წარმომიდგებოდნენ ანტოანი და პოლინა...

ერთხელ დავიჭირე ეკიპაჟი და წავედი სენის პირზედ, სადაც ოდესმე ვატარებდი მშვენიერ ხეების ჩრდილქვეშ ნეტარების დროებასა; სადაც დაუღალავად ყურს ვუგდებდი პოლინას უმანკო, ყმაწვილურ, მაგრამ სასიამოვნო ცელქობასა და ტიტინსა, რომელსაც ხანდისხანს ვუშლიდი და ამაზედ იგი აჩხლობდა, მებუტებოდა და ტიროდა; სადაც მე ვამშვიდებდი, ვკოცნიდი მის ცრემლებით სავსე ლამაზ თვალებსა და ვიყავით სრულებით ბედნიერნი. გადაველი სან-ძლუს იქით, დავაყენებინე ეკიპაჟი, ჩამოვხტი და აველი მაღლა, გორაზედ, რომლის მინდორზედ ყველა ისევ ისე დამხვდა, როგორც იყო უწინ, მხოლოდ აღეშენათ მრავალი მშვენიერი შენობები; იქვე იდგა ძველი ტელესკოპი; მისს ახლოს კანდიტერისა და ლიმონადის დუქნები; მეიდანზედ ისხდნენ აქა-იქა მრავალი ყმაწვილ-კაცები სწორედ იმ ალაგს, სადაც რვა წლის წინათ პირველად დავინახე ჩემი პოლინა და სადაც დარბოდა მხიარული, კმაყოფილი და სავსე სიცოცხლითა.

წარმომიდგა წარსული ბედნიერი დრო და არ ვიცოდი სიზმრად თუ ფხიზლად ვხედავდი ამ დროს... იქვე ახლოს მოჩანდა სან-ძლუს დანგრეული ციხე, ვითა მოწამე ომის საშინელებისა, საიდამაც თითქო ისმოდა ხმა:

— ფუჭო სოფელო! ფუჭო სოფელო!

ა. სავანელი.

(დასასრული)

შესრულებულნი არც სწავლაში და არც ხელოვნებაში გავარჯიშებულნი არ გამოდიოდნენ.

ამ გვარივე სკოლები რუსეთშიაც გრაფ ტოლსტოის მინისტრობის დროს, იმართებიან. ამითი ტოლსტოის ვითომც ის სურდა რომ რეალური განათლების იდეეა სისრულეში მოეყვანა, მაგრამ ის მხოლოდ თვალს უხვევდა საზოგადოებას ნამდვილი აზრი იმისი კი სხვა იყო: კლასიკური სისტემას გაძლიერება.

გერმანიაში იმისთანა სკოლებიც არის გახსნილი, სადაც ხელობის შესწავლა მხოლოდ თეორეტიკულად მიდის, იმ სასწავლებლებში შაგირდს, ანუ სტუდენტს ისეთ სპეციალურ განათლებას აძლევენ, რომელიც ბოლოს ცხოვრებაში ადვილად მოიხმარონ. „სახელოსნო აკადემიაში“ კურს შესრულებულმა სტუდენტმა რამოდენიმე ხანს ქარხანაში უნდა იმუშაოს, თუ სურს, რომ დიპლომი ხელში ტყვილა-უბრალოდ არ შერჩეს. როდესაც ის პრაქტიკულად შეისწავლის თავის საქმეს, მაშინ თავისუფლად შეუძლია ადგილი დაიჭიროს... გერმანიაში საზოგადოდ სახელოსნო სკოლებში შემდეგ სიგნებს ასწავლიან: ხაზვას, ხატვას, მეხანიკას, ფიზიკას, ქიმიას და სხვა, რომელიც ხელობის შესწავლას ხელს უწყობს.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ რაც ბერლინის პოლიტეხნიკურ საზოგადოებამ ერთ-მხრით უარ-ჰყო სკოლებში ხელობის სწავლების შემოღება.

საფრანგეთში, 1862 წ. დაფუძნებულმა „პროფესიონალურ და ტეხნიკურ სწავლის კომისიამ“ იმ დასკვნას მიაღწია, რომ „ხელობის სწავლება,“ როგორც სპეციალურ, აგრეთვე საზოგადოდ სახალხო სკოლებში არაფითარ ნაყოფს არ მოიტანსო.

ამ ნაირად განათლებული ქვეყნების გამოცდილება და მაგალითები ნათლად გვიჩვენებენ და გვიხატვენ იმ ჭეშმარიტებას, რომ ჩვენი სურვილი იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ სახელოსნო სკოლები გავავრცელოთ, არამედ იმაში, რომ ელემენტარული განათლება გავავრცელოთ ხალხში და თუ პროფესიონალური სკოლების გახსნა გვსურთ უნდა გავხსნათ იმ გვარი ტეხნიკური სკოლები, როგორაც ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში და ბელგიაში არიან გახსნილნი.

ლ. ჩ.—მე.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალეგიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მმართებლობა ამით აცხადებს, რომ მისგან დაარსებულს ბათუმის სკოლაში გაიხსნება მასწავლებლების ვაკანცია თიბათვიდამ. ვისაც სურს ეს ადგილი დაიჭიროს, შეუძლიან წარმოადგინოს თხოვნა ამ საზოგადოების სამწერლოში, (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, № 9.) (5—1)

## აუქციონი

17 და 24 აპრილს და 8 მაისს 1882 წელს კავკასიის აქეთა-მხრის პრიკაზში დანიშნული აუქციონით გაყიდვა ოქრო-ვერცხლის და სხვა მვირფას ნივთებისა. (3—4)

### ექიმი შტემბორსკი

მიიღებს ვენერიულ და ხორცის კანის ავათმყოფებს მუდამ დღე დილის 9 საათიდამ 11 საათამდინ და საღამოს 4 საათიდამ 11 საათამდინ. ღარიბებს მიიღებს მუქთად.

ადრესი: სოლოლაკი სადოვის ქუჩა, სახლის № 50. (10—2)

### იურიდიული კაბინეტი

იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზე არხიტექტორის ბელოევის სახლში კელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—18)

### ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოდ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—100)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

**ლონდონის მაღაზია** კომერციულ-ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, საყრისისა (გემრიელი კლემჩივინი ზეთისა) და სხვა. სა[...] კინტოშის მოსაწვიმარ[...] გასასყიდ[...] კანფეტების და მარტჯერის და კამბ[...] რაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდე[...] ბისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭ[...] სიგარები. (100—100)

დაიბეჭდა და ისყიდება

# ქუჩუმ ყარამანისშვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უ[...] ნასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო ლომაურ[...]თან.

სომეხთ ნერსესის პოპეჩიტელ[...] სოვეტში ამ აპრილის 21-სა, საღამო[...]ზედ 8 საათზედ არის დანიშნული **ტორგი** (უპერეტორშკოთ) იჯარით მისაცემათ თელეთის წმიდის გიორგის ეზოში ერთის დუქნისა თავის[...] ერთის ოთახითა.

მსურველს შეუძლიან წაკითხვა [...]რობისა ამავე სემინარიის კანცელარია[...]ში ყოველ დღე, კვირისა და უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდამ ვიდრე 12 საათამდინ. (3—3)

**ტაქსის**

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნა[...] იყიდებიან თფილისის ბაზრებში, [...]ნებში და დარტარებით 1 აპრილიდამ 1 მაისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილი[...]

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვა[...]

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 ვირ. | 7 |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 13 |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

სურამის და ხაშურის სტანციებში ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. ფასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—12)

ახლად ჩამოსული

# ბებია-ქალი

აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც [...]წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის სა[...]მო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა,—მიიღებს ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს ამათთვის დამზადებული ოთახები.

ადრესი: ელისავეტინის ქუჩა, სახლი 60.

(24—13) ბებია-ქალი დობროდეევა—კაჭინსკისა.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Апрѣля 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მე[...]